№76 2014 წლის 20 იანვარი ქ. თბილისი

# შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

დამტკიცდეს თანდართული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2014 წლის 20 იანვრის
N 76 განკარგულებით

# შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა
# (შემდგომში-2014-2016წწ. სამოქმედო გეგმა)

გამოყენებული შემოკლებები:

**სგმს** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
**სემგს** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
**სის** - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
**სკეკ** - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;
**სკძდს** - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
**სრგის** - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
**სსასს** - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო;
**სსსმ** - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი;
**სფს** - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
**სშჯსდს** - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
**ცესკო** - ცენტრალური საარჩევნო კომისია;
**შშმპ** - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;
**საბჭო** - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭო;
**ბაგფ** - ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი;
**ბაეც** – ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი.

| ამოცანები | ღონისძიებები | შესრულე - ბის ვადები | პასუხისმგებე-ლი უწყება | დაფინანსე -ბის წყარო | შედეგის ინდიკატორი |
|---|---|---|---|---|---|
| **I. ზოგადი საკითხები** | | | | | |
| 1. დისკრიმინაციის აკრძალვა | 1.ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის შემუშავება და მიღება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შშმ პირებთან დაკავშირებული ასპექტები. | 2014 | სის, სხვა დაინტერესებული სამინისტროები და უწყებები | სახ.ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაციები | ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა შემუშავებულია და მიღებულია |
| **შეზღუდული შესაძლებლობის შეფასებისა და სტატუსის მინიჭების სისტემის რეფორმირება და სოციალურ მოდელზე ეტაპობრივი გადასვლის პროცესის გაგრძელება** | 2.1. სამუშაო ჯგუფის ფორმირება, რომელიც:<br>- მოამზადებს სიტუაციურ ანალიზს საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით;<br>- შეიმუშავებს რეკომენდაციებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭების ახალ მოდელზე გადასვლის მომდევნო ეტაპის ღონისძიებების განსახორციელებლად. | 2014 | სშჯსდს | დონორი ორგანიზაციები, სახ. ბიუჯეტი | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭების ახალ მოდელზე გადასვლის ღონისძიებების განსახორციელებლად რეკომენდაციები და გეგმა შემუშავებულია |
| | 2.2. სოციალურ მოდელზე გადასვლისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება და მიღება. | 2014 | სშჯსდს და სხვა დაინტერესებული სამინისტროები | სახ.ბიუჯეტი | საკანონმდებლო ცვლილებები მიღებულია. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | და უწყებები | | |
| | 2.3. შესაძლებლობის შეზღუდვის შეფასების სოციალური მოდელის პილოტირება და დანერგვის დაწყება (მულტიდისციპლინური გუნდების ჩამოყალიბება და ამოქმედება). | 2015-2016 | სშჯსდს | დონორი ორგანიზაციები, სახ.ბიუჯეტი | პილოტირება გავლილია და დანერგვა დაწყებულია. |
| **2. გადაწყვეტილებების მიღების პროცესში შშმ პირების ჩართულობა** | 3.1. შშმ პირთათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სტრატეგიების, გეგმების, პროგრამებისა და ღონისძიებების შემუშავებისას შშმ პირთა ან/და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მონაწილეობის უზრუნველყოფა. | 2014-2016 | სშჯსდს და სხვა დაინტერესებული სამინისტროები და უწყებები | დონორი ორგანიზაციები, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტები | შშმპ-თა ან/და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მონაწილეობით მიღებული სტრატეგიები, გეგმები, პროგრამები და ღონისძიებები. |
| | 3.2. რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების შექმნა/ამოქმედება შშმ პირთა ან/და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მონაწილეობით. | 2014-2016 | სრგის, ადგილობრივი თვითმართველობები | დონორი ორგანიზაციები, სახ. და ადგილობრივი ბიუჯეტები | რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე ამოქმედებული შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოები. |
| **4. სამართლებრივი ბაზის შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო სტანდარტებთან** | 4.1. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მოთხოვნებთან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა. | 2014-2016 | სშჯსდს, სის, საქართველოს პარლამენტი | | ეროვნული კანონმდებლობა კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 4.2. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიკაცია. | 2013 | საქართველოს პარლამენტი | | კონვენცია რატიფიცირებულია. |
| **II. ცნობიერების ამაღლება** | | | | | |
| **1. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე** | 1.1.საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მხარდასაჭერი კამპანიების და სოციალური რეკლამის წარმოება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით შშმ პირთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება, მათ შორის:<br>•კორექტული ტერმინოლოგიის გამოყენების და პოზიტიური განწყობის ჩამოყალიბება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებაში;<br>•სტიგმატიზაციისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის საკითხებზე;<br>•შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ღირსების პატივისცემის საკითხებზე. | 2014-2016 | საზოგადოებრივი მაუწყებელი და სხვა მედია საშუალებები, სკეკ | დონორი ორგანიზაციები, სახ. ბიუჯეტი | მედია-საშუალებათა პერსონალის, მათ შორის ჟურნალი-სტების მიერ მომზადებული და რადიო და სატელევიზიო ეთერში, ბეჭდურ და ელექტრონულ მედიაში შშმ პირთა საკითხების გაშუქების გაზრდილი რაოდენობა, რომელიც ითვალისწინებს შშმპ-თა უფლებებისა და ღირსების პატივისცემას და აკმაყოფილებს კორექტული ტერმინოლოგიისა და ანტიდისკრიმინაციის მოთხოვნებს. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 1.2. მედია-საშუალებათა პერსონალის, მათ შორის ჟურნალისტების ინფორმირება და ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე. | 2014-2016 | დაინტერესებული უწყებები | დონორი ორგანიზაციები | დატრენინგებულია მინიმუმ 50 ჟურნალისტი. |
| **III. ხელმისაწვდომობა** | | | | | |
| **1. საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებისა და მომსახურების, მათ შორის, საჯარო დაწესებულებების ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა** | 1.1.შშმ პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის შემუშავება-მიღება. | 2014 | სემგს | სახ. ბიუჯეტი | ტექნიკური რეგლამენტი შემუშავებულია და მიღებულია |
| | 1.2. ახალი სამშენებლო ნორმების აღსრულების ზედამხედველობა | 2014-2016 | ადგილობრივი თვითმმართველობები | სახ. ბიუჯეტი, ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტი | ახალი სამშენებლო ნორმების ზედამხედველობა ხორციელდება. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 1.3. ფიზიკურ გარემოში არსებული ბარიერების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის მიზნით წინადადებების შემუშავება, მათ შორის:<br>•შენობა-ნაგებობების;<br>•გზების;<br>•სატრანსპორტო ტერმინალების (აეროპორტები, ავტოსადგურები, რკინიგზის სადგურები, პორტები, გზისპირა ინფრასტრუქტურა);<br>•ინფორმაციისა და კომუნიკაციის, მათ შორის ელექტრონული და სასწრაფო-საავარიო სამსახურების. | 2014-2016 | სემგს, სსიპ- „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო", სსიპ-„სამოქა-ლაქო ავიაციის სააგენტო", სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო", სს - „საქართველოს რკინიგზა", სრგის, ადგილობრივი თვითმართველ ობები | დონორი ორგანიზაც იები | წინადადებები შემუშავებულია. |
| | 1.4. საშუალო, პროფესიული, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და საბავშვო ბაღების ფიზიკური გარემოს გაუმჯობესება, ადაპტირება. | 2014-2015 | სგმს, სფს | სახ.ბიუჯეტ ი, დონორი ორგანიზაც ია | საქართველოს საჯარო სკოლების 10%, ბაღების 20%, პროფესიული სასწავლებლების 50% და უმაღლესი სასწავლებლების 60% ფიზიკური გარემო გაუმჯობესებულია. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **2. საზოგადოებრივი სატრანსპორტო საშუალებების, გადაადგილებისა და მოგზაურობის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა** | 2.1 სატრანსპორტო საშუალებათა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ადაპტირებისთვის საჭირო ნორმებისა და მათი დაცვის აღსრულების მექანიზმის შემუშავება. | 2014-2016 | სემგს, სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“ | სახ. ბიუჯეტი | ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალებებისა და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის მიზნით სტანდარტები მიღებულია და მოქმედებს. |
| | 2.2 სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის: გაჩერებების, გადასასვლელების, გზაჯვარედინებისა და შუქნიშნების ადაპტირება დადგენილი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად. | 2014-2016 | ადგილობრივი თვითმმართველობები (თვითმმართველი ქალაქები, მუნიციპალიტეტები და სხვა) | ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაციები | დადგენილი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი გაჩერებების, გადასასვლელების, გზაჯვარედინებისა და შუქნიშნების რაოდენობის ზრდა. |
| | 2.3 შშმ პირთათვის სპეციალური ადგილების გამოყოფა ავტოსადგომებზე. | 2014-2016 | ადგილობრივი თვითმმართველობები (თვითმმართველი ქალაქები, მუნიციპალიტეტები და სხვა) | ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტი | სპეციალური ადგილებიანი ავტოსადგომების რაოდენობის ზრდა. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 2.4 საზოგადოებრივ ტრანსპორტზე მომუშავე მძღოლების ინფორმირება და ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურების საკითხებზე. | 2014-2016 | ადგილობრივი თვითმმართველობები (თვითმმართველი ქალაქები, მუნიციპალიტეტები და სხვა) | დონორი ორგანიზაციები | საზოგადოებრივ ტრანსპორტზე მომუშავე მძღოლების ცნობიერება შშმპ-თა მომსახურებასთან დაკავშირებით გაზრდილია. |
| | 2.5. დადგენილი ნორმებით შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინება ახალი საზოგადოებრივი სატრანსპორტო საშუალებების შეძენისას. | 2014-2016 | ადგილობრივი თვითმმართველობები | ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტი | შეძენილი შშმ პირთათვის ადაპტირებული ტრანსპორტის რაოდენობის ზრდა. |
| **IV. ინდივიდუალური მობილურობა** | | | | | |
| **1. შშმ პირთა დამოუკიდებელი გადაადგილებისა და კომუნიკაციის ხელშეწყობა** | 1.1.შშმ პირთა დამხმარე საშუალებებითა და ტრენინგით ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად. | 2014-2016 | სშჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაციები | დამხმარე საშუალებების საჭიროების მქონე შშმ პირთა 80% უზრუნველყოფილია. |
| **V. აზრისა და შეხედულებების გამოხატვის თავისუფლება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა** | | | | | |
| **1. შშმ პირთათვის ხელმისაწვდომი ფორმით ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის უზრუნველყოფა** | 1.1.შშმ პირთა ელექტრონული სერვისების საჭიროებებისა და მათი განვითარების შესაძლებლობების შესწავლა. | 2014-2016 | სკეკ | დონორი ორგანიზაციები | შშმ პირთა ელექტრონული სერვისების განვითარების ხარჯთაღრიცხვა მომზადებულია. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 1.2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე სპეციალური ადაპტირებული ვებ.გვერდის შექმნა. | 2014-2016 | საბჭო | დონორი ორგანიზაციები | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე სპეციალური, ადაპტირებული ვებ.გვერდი შექმნილია და ფუნქციონირებს. |
| | 1.3. საჯარო დაწესებულებებში შშმ პირთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ადაპტირებული ფორმით. | 2014-2016 | სახელმწიფო უწყებები და ადგილობრივი თვითმმართველობები | დონორი, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტები | საჭიროების მქონე შშმ პირებისათვის ინფორმაცია ხელმისაწვდომია. |
| | 1.4. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სურდოთარგმანის, სუბტიტრების, ბრაილის შრიფტის, გამაძლიერებელი და სხვა სპეციალური საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება და მიღება (გარდა ბეჭდური პრესისა). | 2014-2015 | სკეკ, დაინტერესებული უწყებები | სკეკ ბიუჯეტი | საკანონმდებლო ცვლილებები მომზადებულია და მიღებულია შესაბამისი მარეგულირებელი ნორმები შემუშავებულია და მოქმედებს. |
| | 1.5. შშმ პირთათვის ადაპტირებული საკომუნიკაციო ტერმინალური მოწყობილობებისა და სისტემების დაგეგმვის, წარმოებისა და გავრცელების მიზნით მარეგულირებელი ნორმების შემუშავება. | 2014-2016 | სკეკ, დაინტერესებული უწყებები | სკეკ ბიუჯეტი | შესაბამისი მარეგულირებელი ნორმები შემუშავებულია და მოქმედებს. |

| VI. განათლება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების სამართლებრივი ჩარჩოს განსაზღვრა** | 1.1 საჭირო ცვლილებებისა და დამატებების ასახვა საქართველოს განათლების სისტემის მარეგულირებელ საკანონმდებლო დოკუმენტებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა და სტუდენტთა ეფექტიანი, უწყვეტი და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფისთვის. | 2014-2015 | სგმს, სშჯსდს, სფს, | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაცია | საკანონმდებლო ცვლილებებზე მომუშავე იურისტთა და სსსმ პირთა განათლების ექსპერტების ჯგუფი და შესაბამისი რეკომენდაციები შექმნილია (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ, საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ, საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულება და სხვ.). |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 1.2.სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა და სტუდენტთა განათლების პროცესის მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტის/ების შემუშავება ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების რეგულირებისთვის. | 2014-2015 | სგმს, | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაცია | მოსწავლეთა და სტუდენტთა განათლების პროცესის მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტების შემუშავების მიზნით მომუშავე იურისტთა და სსსმ პირთა განათლების ექსპერტთა ჯგუფი და შესაბამისი რეკომენდაციები შექმნილია. |
| | 1.3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა და სტუდენტთა განათლების მართვის რეგულაციების შემუშავება. | 2014-2015 | სგმს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაცია | სსსმ პირთა განათლების მართვის რეგულაციების განსაზღვრის მიზნით, იურისტთა და სსსმ პირთა განათლების ექსპერტების მონაწილეობით შექმნილია რეკომენდაციები, აკადემიური მიღწევის შეფასების მექანიზმი განსაზღვრულია, ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის დამამთავრებელი გამოცდების ორგანიზების წესი შემუშავებულია, ერთიანი ეროვნული |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | გამოცდების ორგანიზების პროცედურები განსაზღვრულია, პროფესიული განათლების საფეხურის დამამთავრებელი გამოცდების ორგანიზების წესი განსაზღვრულია და ა.შ.. აღნიშნული გათვალისწინებულია და ასახულია შესაბამის დოკუმენტებში. |
| | 1.4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების მართვის  სისტემის შემუშავება, სტრუქტურის/ებისთვის ვალდებულებების დამტკიცება და კოორდინირებული მუშაობის მექანიზმის შემუშავება. | 2014-2015 | სგმს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაციები. | სსსმ პირთა განათლების მართვის სისტემის შემუშავებაზე მომუშავე იურისტთა და სსსმ პირთა განათლების ექსპერტების ჯგუფი შექმნილია და შემუშავებულია რეკომენდაციები. |
| **2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა და სტუდენტთა განათლების დაფინანსების** | 2.1 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა და სტუდენტთა ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების დაფინანსების სისტემის/ფორმულის შემუშავება კვლევაზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით. | 2014 | სგმს, სშჯსდს, სფს | სახელმწიფო ბიუჯეტი | ექსპერტთა ჯგუფის მუშაობის  შედეგად სსსმ მოსწავლეთა და სტუდენტთა განათლების დაფინანსების სისტემა/ფორმულა შექმნილია. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ადექვატური სისტემის დანერგვა** | 2.2 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა და სტუდენტთა განათლების დაფინანსების მექანიზმის პილოტირება. | 2014-2015 | სგმს | დონორი ორგანიზაციები, სახელმწიფო ბიუჯეტი | თბილისის 10 და 6 რეგიონის 30 სკოლაში, 2 პროფესიულ და 2 უმაღლეს სასწავლებელში მიმდინარეობს განათლების დაფინანსების სისტემის პილოტირება. |
| | 2.3 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა და სტუდენტთა განათლების დაფინანსების სისტემის დანერგვა ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემაში. | 2016 | სგმს | დონორი ორგანიზაციები, სახელმწიფო ბიუჯეტი. | საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში, პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებელში ინერგება დაფინანსების ახალი სისტემა. |
| **3.სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა უწყვეტი და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურებზე** | **3.1 საგანმანათლებლო სერვისები და მიდგომები:** | | | | |
| | 3.1.1. ალტერნატიული საგანმანათლებლო სერვისის/ების დანერგვა საჯარო, მათ შორის, სპეციალიზირებული პროფილის მქონე სკოლებში; | 2014-2015 | სგმს,სფს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაცია | ინტეგრირებული კლასის მოდელი შემუშავებულია ღრმა ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეთათვის, აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეთათვის, სმენის დარღვევის მქონე |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | მოსწავლეთათვის. |
| | 3.1.2. საჯარო, მათ შორის, სპეციალიზირებული პროფილის მქონე სკოლებში დისტანციური განათლების უზრუნველყოფა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის; | 2014-2016 | სგმს, სშჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაცია | 20 საჯარო სკოლა აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით, 50 მასწავლებლის კვალიფიკაცია გაზრდილია დისტანციური სწავლების ტექნიკებში. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 3.1.3. სპეციალიზირებული პროფილის მქონე საჯარო სკოლებში სკოლამდელი მოსამზადებელი სააღმზრდელო სერვისების დანერგვა; | 2014-2015 | სგმს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაცია | ექსპერტების მიერ შესწავლილია 8 სპეციალიზირებული პროფილის მქონე სკოლა. ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე ინტელექტუალური განვითარების, სენსორული და ქცევით-ემოციური დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის სპეციალიზირებული პროფილის მქონე 8 სკოლაში გახსნილია სკოლამდელი მოსამზადებელი სააღმზრდელო სერვისები. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 3.1.4. სპეციალიზირებული პროფილის მქონე საჯარო სკოლებში თანამედროვე კვლევებზე დაფუძნებული სწავლა–აღზრდის მეთოდოლოგიების დანერგვა; | 2014-2015 | სგმს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაცია | სპეციალისტების მიერ თანამედროვე კვლევებზე დაფუძნებული სწავლა-აღზრდის მეთოდოლოგიები შესწავლილია და დანერგილია სპეციალიზირებული პროფილის მქონე 8 სკოლაში; ასევე, გადამზადებულია რვავე სკოლის ყველა მასწავლებელი და აღმზრდელი აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენებაში. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 3.1.5. საჯარო, მათ შორის, სპეციალიზირებული პროფილის მქონე სკოლებში პროფესიული (სახელობო) განათლების სისტემის დანერგვა; | 2014-2016 | სგმს, სშჯსდს | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაცია | სსსმ მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით და ბაზარზე ორიენტირებული პროფესიების დაუფლების მიზნით სახელობო პროფესიული პროგრამები დანერგილია სპეციალიზირებული პროფილის მქონე 8 სკოლაში. შემუშავებულია აღნიშნული სკოლების მოსწავლეების ზოგადსაგანმანათლებლო სისტემიდან პროფესიული განათლების სისტემაში ტრანზიციის მექანიზმი. ასევე, 10 საჯარო სკოლის საშუალო საფეხურზე პილოტირებულია სამეწარმეო როექტების სსსმ პირების ჩართულობით და ახალი საგანი ,,საყოფაცხოვრებო უნარჩვევები“,რომელი მოსწავლეებს ეხმარება როფორიენტაციაში |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 3.1.6 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სსსმ პირთა ჩართვა პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში მათთვის შრომის ბაზრის მოთხოვნებზე დაფუძნებული კონკურენტ-უნარიანი პროფესიების შესწავლისა და შემგომი დასაქმების მიზნით. | 2014-2016 | სგმს | სახ.ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაცია | მინიმუმ 50 შშმ და სსსმ პირი დაეუფლა პროფესიას 6 პროფესიულ საგანმანათლებლო სასწავლებელში და გაეწია კონსულტირება დასაქმების უზრუნველყოფისათვის. |
| | **3.2. საგანმანათლებლო მეთოდოლოგიები:** | 2014-2016 | | | |
| | 3.2.1 ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული მეთოდური სახელმძღვანელოების, გზამკვლევების შემუშავება; | 2014-2016 | სგმს | სახ.ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაცია | შემუშავებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული მეთოდური გზამკვლევები ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემაში ჩართული მასწავლებლებისთვის. |
| | 3.2.2. სკოლის ადმინისტრაციისათვის გზამკვლევების შემუშავება; | 2014-2016 | სგმს | სახ.ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაცია | შემუშავებულია და ყველა სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია გზამკვლევით. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 3.2.3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსაწვლეებისთვის, სტუდენტებისთვის მათი საჭიროების გათვალისწინებით სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალების შემუშავება, დაბეჭდვა და გავრცელება; | 2014-2016 | სგმს, სშჯსდს | სახ.ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაცია | სსსმ მოსაწვლეებისთვის და სტუდენტებისთვის შექმნილია, დაბეჭდილი და გავრცელებულია შესაბამისი სასწავლო მასალები (მათ შორის: ჟესტური ენის სახელმძღვანელო, ჟესტებზე მოლაპარაკე მოსწავლეთა და სტუდენტთა საგნობრივი სახელმძღვანელოები, ასევე, ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი სახელმძღვანელოები და სხვა. |
| | 3.2.4. ჟესტების ენის და/ან ბრაილის ანბანის მცოდნე, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პედაგოგების ჩართვა სწავლების პროცესში ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურზე; | 2014-2016 | სგმს | სახ.ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაცია | ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურზე ჩართულია ჟესტების ენის და/ან ბრაილის ანბანის მცოდნე, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პედაგოგები. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 3.2.5. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა, სტუდენტთა საჭირო საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფა; | 2014-2016 | სგმს | სახ.ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაცია | დანერგილია ბრაილის და ალტერნატიული შრიფტებით შექმნილი სახელმძღვანელოები, კომუნიკაციის გამაძლიერებელი და ალტერნატიული მეთოდები, სპეციალური სასწავლო ტექნიკისა და მასალების, ორიენტაციისა და მობილობის უნარ-ჩვევებისათვის პროგრამები. სპეციალიზირებული სკოლები საშუალო და ღრმა ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეთათვის, აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეთათვის, სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეთათვის და სხვ. უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო ტექნიკითა და დამხმარე მასალით. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 3.2.6. ჟესტური ენის ტერმინოლოგიური ლექსიკონების შექმნა. | 2014-2015 | სგმს | სახ. ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაცია | შექმნილია სხვადასხვა პროფესიებთან მიმართებაში ჟესტური ენის ტერმინოლოგიური ლექსიკონი. |
| **4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება** | 4.1 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა, სტუდენტთა ადრეული იდენტიფიკაციის, შეფასების და გადაფასების მექანიზმის დანერგვა სტანდარტიზებული ინსრუმენტების და პროცედურების გამოყენებით. | 2014-2016 | სგმს | სახ. ბიუჯეტი | დანერგილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა, სტუდენტთა ადრეული იდენტიფიკაციის ინსტრუმენტი, მომზადებულია შეფასების განხორციელებაზე უფლებამოსილი სპეციალისტები. |
| | 4.2 ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში ჩართულ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მონაცემთა ბაზების წარმოება. | 2014-2016 | სგმს, სშჯსდს | სახ.ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაციები, | შემუშავებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მონაცემთა ბაზა, შესწავლილია შშმ პირები და აღრიცხულია სპეციალურ საინფორმაციო ბაზაში. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 4.3 ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში ჩართულ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საჭიროებების უწყვეტი ანალიზი. | 2014-2016 | სგმს | სახ. ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაცია | ხორციელდება რეგულარული კვლევა, რომელიც ავლენს რამდენად დაკმაყოფილებულია სსსმ პირთა მოთხოვნები, საჭიროებები და გადაჭრის გზები. |
| | 4.4 საგანმანათლებლო საჭიროებების ანალიზის საფუძველზე სამოქმედო გეგმის შემუშავება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა კონკრეტული ჯგუფების ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის. | 2014-2016 | სგმს | სახ.ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაცია | ანალიზის საფუძველზე, სსსმ პირთა კონკრეტული ჯგუფების მიხედვით (აუტისტური სპექტრის აშლილობა, სმენის დარღვევები, მხედველობის დარღვევები და სხვა) შემუშავებულია სამოქმედო გეგმა. |
| | 4.5 საჯარო, მათ შორის, სპეციალიზირებული პროფილის მქონე სკოლებში, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპეციალური და ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სისტემის შექმნა. | 2014-2016 | სგმს | სახ.ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაცია | შემუშავებულია ინკლუზიური განათლების მოდელი. |
| | 4.6 საჯარო სკოლის მასწავლებლების კვალიფიკაციის ზრდა ინკლუზიური განათლების მიმართულებით. | 2014-2016 | სგმს | სახ.ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაცია | მასწავლებლების 50% მომზადებულია ინკლუზიური განათლების სისტემაში ჩასართველად. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 4.7 სპეციალური პედაგოგების და სხვა დამხმარე სპეციალისტების ჩართვა ზოგად საგანმანათლებლო და პროფესიული განათლების სისტემაში. მშობლების განათლება ფსიქიკური პრობლემების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერის საკითხებში. | 2014-2016 | სგმს | სახ.ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაცია | სპეციალური პედაგოგები და სხვა დამხმარე სპეციალისტები ჩართულები არიან ზოგად საგანმანათლებლო და პროფესიული განათლების სისტემაში. |
| | 4.8 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების დეპარტამენტების დაარსება. | 2014-2016 | სგმს | სახ.ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაცია | რიგი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა მხარს უჭერს ინკლუზიური განათლების სწავლებას. |
| | 4.9 განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში არსებული მულტიდისციპლინური გუნდის ზრდა. | 2014-2016 | სგმს | სახ.ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაცია | მულტიდისციპლინური გუნდის წევრების რაოდენობა გაზრდილია თბილისში 10-ით, რეგიონებში 20-ით. |
| VII. ჯანმრთელობის დაცვა | | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **1. ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული დისკრიმინაციის გარეშე** | 1.1 ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებების ფიზიკური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. | 2014-2016 | სშჯსდს | სახ. ბიუჯეტი | შშმ პირთა %, რომელთათვისაც ჯანმრთელობის დაცვის სერვისები ფიზიკურად ხელმისაწვდომია. |
| | 1.2 ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი შესაძლებელი სტანდარტებით სარგებლობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. | 2014-2016 | სშჯსდს | სახ. ბიუჯეტი | შშმ პირთა სამედიცინო მომსახურება ხორციელდება არსებული სტანდარტების შესაბამისად. |
| | 1.3 ყველა შშმ პირისთვის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. | 2014-2016 | სშჯსდს | სახ. ბიუჯეტი | საბიუჯეტო რესურსის %, რომელიც იხარჯება ყოველწლიურად შშმ პირთა საჭიროებებზე ორიენტირებულ პრევენციულ ღონისძიებებზე, პროგრამებზე და მომსახურებებზე. |
| **2. შეზღუდული შესაძლებლობით განპირობებული ჯანმრთელობის მდგომარეობათა მართვის** | 2.1 შეზღუდული შესაძლებლობის განმაპირობებელი დაავადებებისა და მდგომარეობების ადრეული დიაგნოსტიკა, დროული კორექცია | 2014-2016 | სშჯსდს | სახ. ბიუჯეტი | შემუშავებულია შეზღუდული შესაძლებლობების განმაპირობებელი დაავადებებისა და |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **გაუმჯობესება** | და შემდგომი გართულების პრევენცია, რაც მოიცავს:<br>2.1.1. შესაბამისი დაავადებებისა და მდგომარეობების იდენტიფი-ცირებას;<br>2.1.2. შშმ პირთა საჭიროებებზე ორიენტირებული გაიდლაინებისა და პროტოკოლების შემუშავებას;<br>2.1.3. გაიდლაინებისა და პროტოკოლების დანერგვას;<br>2.1.4. პრევენციული პროგრამების ამოქმედებას. | | | | მდგომარეობების ადრეული დიაგნოსტიკის, დროული კორექციისა და შემდგომი გართულების პრევენციის მექანიზმები. |
| | 2.2 ჯანმრთელობის დაცვის პროფესიონალთა ცოდნისა და ცნობიერების ამაღლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის თანაბარი ხარისხის მომსახურების გაწევის უზრუნველსაყოფად. | 2014-2016 | სშჯსდს | დონორი ორგანიზაც იები | ჯანმრთელობის დაცვის პროფესიონალების მზადების პროგრამების პროცენტული წილი საერთო რაოდენობიდან, რომელიც ითვალისწინებს შშმპ-თვის სამედიცინო მომსახურების გაწევის თავისებურებების სწავლებას.<br>ექიმთა დიპლომისშემდგომი მზადების პროცენტული წილი პროგრამების საერთო რაოდენობიდან, რომელშიც გათვალისწინებულია შშმპ-თვის სამედიცნო მომსახურების გაწევის თავისებურებები. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 2.3. რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე ცოდნის, შეხედულებების და ქცევის კვლევა შესაბამისი ასაკის ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის. | 2014-2016 | | დონორი ორგანიზაციები | შშმ პირებში რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე ცოდნის, შეხედულებებისა და ქცევის დონის განსაზღვრა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება. |
| | 2.4 რეპროდუქციული ჯანმრთელობის აუცილებელი ჩვევების სწავლება და სქესობრივი განათლება შესაბამისი ასაკის და საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის. | 2014-2016 | | დონორი ორგანიზაციები | მიზნობრივ ჯგუფში სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე ტრენინგ/სემინარების ჩატარება. |
| **3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზანმიმართულობის, სტრუქტურისა და მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება** | 3.1.ზოგიერთი სიცოცხლისთვის საშიში თანდაყოლილი დაავადების, მათ შორის, ჰემოფილიის, მეტაბოლური დარღვევების, ვირუსული დაავადებების დროული გამოვლენისა (მათ შორის, სკრინინგის მეშვეობით) და მართვის პროგრამების გადახედვა და სრულყოფა. | 2014-2016 | სშჯსდს | სახ. ბიუჯეტი | პროგრამები გადახედილია და ეფუძნება მტკიცებულებებზე დამყარებულ ჩარევებს. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
